**რომ შეგვენარჩუნებინა ეკონომიკური კავშირები 10-15 წლით მაინც, როგორც ეს ევროკავშირშია, სადაც ეკონომიკური კავშირებიდან პოლიტიკურზე გადავიდნენ, დღეს საქართველო მსოფლიოში ერთერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა იქნებოდა. თუმცა, ჩვენთან ეს პროცესი ენერგეტიკის განადგურებით დაიწყო.**

*პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და „მეცნიერთა კონგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*

*თემურ შაშიაშვილი*

## *თემურ შაშიაშვილი:*

# საქართველოს ენერგეტიკა ისევ საქართველოს უნდა დაუბრუნდეს!

***ქართული ენერგოსექტორის კრახის უცნობ დეტალებს ასაჯაროებს და იმ სიბნელეზე საუბრობს, რომელიც საქართველოში ხელოვნურად შექმნეს:***

— გელათში „მეცნიერთა კონგრესის“ მიერ მიღებული დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ქვეყნის ენერგეტიკა აღმოჩნდა მაფიოზური კლანების ხელში და აქედან გამომდინარე, ქართველი კაცი ვერ განკარგავს იმ უზარმაზარ სიმძლავრეებს, რომელიც ღმერთმა 26 ათასზე მეტი მდინარის სახით გვაჩუქა. **საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რატომ არ გვქონდა შუქი 90-იან წლებში და რატომ გახდა შესაძლებელი ეგრეთ წოდებული „მარდების რევოლუციისთანავე“ შუქის პრობლემის მოხსნა, როცა, პრაქტიკულად, არ შექმნილა დამატებითი სიმძლავრეები.** დღეს ქვეყნის მთავარი ეროვნული სიმდიდრე — ენერგეტიკა — უცხოელების ხელშია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მხოლოდ ქუთაისში 100 ათასი ადამიანი დარჩა უმუშევარი. იქ 20 დიდი საწარმო ფუნქციონირებდა, რომელთა მართვა მოსკოვიდან ხდებოდა. მაგალითად: საავტომობილო ქარხანაში 16 ათასზე მეტი კაცი იყო დასაქმებული; ელექტრომექანიკურ ქარხანაში — 5 ათასზე მეტი, ხოლო სატრაქტორო ქარხანაში — 3 ათასზე მეტი. ქუთაისში ასევე მუშაობდა დახურული საწარმოები, როგორიცაა **„აისი“, „ავანგარდი“, „ვოსხოდი“,** სადაც კოსმოსური თანამგზავრებისთვის განკუთვნილი ჩიპებიც კი მზადდებოდა. **ეს 100 ათასი უმაღლესი რანგის პროფესიონალი ერთ დღეში ქუჩაში აღმოჩნდა. ქალაქის ხელმძღვანელობის პერიოდს რომ ვიხსენებ, მაშინდელი მდგომარეობის წარმოდგენაც კი მზარავს.**

ამ კრიზისში ენერგეტიკამ ყველაზე დამანგრეველი როლი შეასრულა. საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა დაიშალა, რამაც, პრაქტიკულად, ყველა საწარმო გააჩერა. შედარებისთვის: ჩემს დროს ქუთაისი **300 მეგავატელექტროენერგიას** მოიხმარდა, დღეს კი მხოლოდ **45 მეგავატს** ხარჯავს, რადგან საწარმოები აღარ მუშაობს.

თავდაპირველად ელექტროენერგია 2 თეთრი ღირდა. 2000-2001 წლებში, სანამ რეგიონალური მმართველობა არსებობდა, ფასი 4 თეთრის ფარგლებში იყო. თუმცა, როგორც კი თბილისში ერთიანი ენერგობაზარი შეიქმნა და მის სამართავად ესპანელი **ალბერტო სოლი** ჩამოიყვანეს (ამ პროცესებს ამერიკელები ხელმძღვანელობდნენ), სიტუაცია შეიცვალა. მე არაერთი წერილი გავუგზავნე მათ და ეს წერილები გაზეთებშიც არის გამოქვეყნებული. რეშთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს მისთვის სიახლე არ იყო. საერთოდ, შევარდნაძეს უცხოელები ეუბნებოდნენ — ხალხი გადაუხდელობის გამო შუქის გამორთვას უნდა მიეჩვიოსო! სინამდვილეში, მიზანი ენერგეტიკის, ქვეყნის მთავარი სიმდიდრის, გასხვისება იყო.

**ხალხი მიაჩვიეს აზრს, რომ შუქი მხოლოდ მაშინ ეძნებოდათ, თუ ენერგეტიკა სხვის ხელში გადავიდოდა. არადა, საფრანგეთში, გერმანიაში — ენერგეტიკას ყველგან სახელმწიფო მართავს.**

**— ვინ იდგა ამ პროცესების უკან? ვინ უწყობდა ხელს ენერგეტიკის გასხვისებას?**

— ეს იყო „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული გუნდი, შემდგომში — ნაციონალური მოძრაობა, **უვანია-სააკაშვილის დაჯგუფება.** სწორედ ისინი აკეთებდნენ ამას! მოკლედ, რომ გავიგე, ვარციხეჰესში წყალს აქცევდნენ და ამ დროს ხალხს შუქს არ აწვდიდდნენ, **შევარდნაძეს** დავურეკე და ვუთხარი — თუ ერთ საათში დასავლეთ საქართველოს არ ჩართავდნენ, თავად წავიდოდი ვარციხეჰესში და ჩავრთავდი შუქს! **პრეზიდენტმა მითხრა — ენერგეტიკა უცხოელების ხელშია და ამას ნუ იზამო!** მიუხედავად ამისა, მარტო მივედი ვარციხეჰესში. ბატონი **ბოდერძი კუპარავა** შემხვდა და მითხრა, რომ ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი იყო და შუქს თავად ჩართავდა, თუმცა, ვუთხარი, რომ ამას მე გავაკეთებდი და ჩავრთე მთელი დასავლეთ საქართველო!

**— ამას რა შედეგი მოჰყვა?**

— პირველი, ვინც ამ ფაქტს გამოეხმაურა, ამერიკის მაშინდელი ელჩი **რიჩარდ მაილსი** იყო. მან შევარდნაძეს დაურეკა და ჩემი დაპატიმრება მოითხოვა. შევარდნაძემ მითხრა ამის შესახებ და მე ვუპასუხე, რომ მზად ვიყავი პატიმრობისათვის. **მაილსი ტელეფონზეც** გამოვიდა და ჩემს ქმედებას თავხედობა უწოდა. შემდეგ გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელსაც მაილსიც ესწრებოდა...

შევარდნაძემ სიტყვა არ მომცა, მაგრამ მაინც მივედი ტრიბუნასთან. ვთქვი — მზად ვარ, პასუხი ვაგო როგორც საქართველოს, ისე ამერიკის კანონმდებლობით. მე ვითხოვდი, ელექტროენერგია მხოლოდ მათთვის გაეთიშათ, ვინც არ იხდიდა, მაგრამ ისინი იმ საწარმოებსაც (მაგალითად, ფეროშენადნობთა ქარხანას) კი უთიშავენ შუქს, რომლებიც დახარჯულ ელექტროენერგიას იხდიან-მეთქი! **სწორედ ამ გზით მოახდინეს მათ ძალის დემონსტრირება, გააწამეს მოსახლეობა და გამოიყვანეს ქუჩაში, რამაც 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია გამოიწვია.**

**— როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ? ვის ხელში აღმოჩნდა საბოლოოდ საქართველოს ენერგეტიკა?**

— მოგვიანებით მთელი ენერგოსისტემა გაყიდეს... ჯერ ამერიკელებმა (AES) იყიდეს, სააკაშვილის დროს კი რუსებს მიჰყიდეს და დღესაც მათ ხელშია. უფრო მეტიც, შევარდნაძის დროს, როცა **დავით მირცხულავა** იყო მინისტრი, განიხილებოდა საფრანგეთის სახელმწიფო კომპანია EDF-ისთვის ენერგოსისტემის მიყიდვის საკითხი. მაშინ **შევარდნაძესთან** მივედი და ვკითხე — თუ საფრანგეთი და გერმანია ენერგეტიკას სახელმწიფოს ხელში ტოვებენ, ჩვენ რატომ ვყიდით? რატომ არ ვთხოვთ ფრანგებს, დაგვეხმარონ ჩვენი სახელმწიფო კომპანიის შენარჩუნებაში-მეთქი? **შევარდნაძემ** ენერგოსისტემის გაყიდვის საკითხი მაშინ გადადო, თუმცა, სისტემა საბოლოოდ მაინც გაიყიდა. სხვათაშორის, როცა ფრანგულ EDF-ზე საქართველოს ენერგოსისტემის გაყიდვის საკითხი იხილებოდა, ჩვენთან მოვიდნენ ქართველი ენერგეტიკოსები — დარგის უნიჭიერესი და უწესიერესი ხელმძღვანელები და გაგვაფრთხილეს — **ქვეყანა დაიღუპება, თუ ენერგეტიკა საქართველოს ხელში არ იქნებაო!** ისინი ითხოვდნენ თითო კილოვატსაათზე მხოლოდ 1 თეთრის გამოყოფას, რათა ელექტროენერგიის პრობლემა სრულად მოგვარებულიყო და ეკონომიკას ემუშავა. თუმცა, წარმოიდგინეთ, ამ 1 თეთრსაც არ აძლევდნენ. მიზანმიმართულად უშლიდნენ ხელს, რათა ჰესებს არ ემუშავათ და მოსახლეობა მუდმივად უკმაყოფილო ყოფილიყო.

**ქართველ სპეციალისტებს კილოვატსაათ ელექტროენერგიაში 1 და 2 თეთრი არ მისცეს მაშინ, როცა დღეს უცხოელებს 20, 22 და 25 თეთრს უხდიან. ამაზე დიდი ანტიქართული ქმედება რა შეიძლება იყოს?!**

უფრო მეტიც, ენერგეტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ 1 ან 2 თეთრის მიღების შემთხვევაში, ელექტროენერგიის ტარიფი მოსახლეობისთვის — 7-8 თეთრს, ხოლო საწარმოებისთვის 5-6 თეთრს არასდროს გადააჭარბებდა. წარმოიდგინეთ, როგორი პატრიოტული და ეროვნული პოზიცია ჰქონდათ ამ ადამიანებს. სამაგიეროდ, იმათ, ვისაც სახელად ნაციონალური და „ეროვნული“ ერქვათ, სწორედ ანტიეროვნული ქმედებები ჩაიდინეს. ქართველმა ენერგეტიკოსებმა უდიდესი საქმე გაუკეთეს ქვეყანას, **ენერგეტიკაში მოკალათებულმა მაფიოზებმა კი საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდეს!**

**— დღეს რა ვითარება გვაქვს ენერგეტიკაში?**

— დღეს ჩვენი ენერგეტიკა უცხოელების ხელშია, ხალხი კი **ნაკლებს იღებს.** კრიპტოვალუტის წარმოებას ელექტროენერგიას 8 თეთრად აძლევენ, მოსახლეობას კი — 26-27 თეთრად... შვეიცარიაში უარი თქვეს ჰესების ასეთ გაყიდვაზე, ჩვენთან კი ყველაფერს ყიდიან და ამბობენ, რომ ეროვნულ საქმეს აკეთებენ. ეს არის ულტრალიბერალიზმი და ურაპატრიოტიზმი, რომელიც ანგრევს ქვეყანას. **სანამ ეს მიდგომა არ შეიცვლება და საქართველოს ენერგეტიკა არ დაუბრუნდება, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება წარმოუდგენელია!**

**— რა ხდება დღეს ქართულ მეცნიერებასა და ენერგეტიკაში, რატომ არ ექცევა სათანადო ყურადღება ახალ ტექნოლოგიებსა და მეცნიერების აზრს?**

— საქართველოში არცერთი მინისტრი არ დაინტერესდა იმით, რაც ქართველმა მეცნიერმა **ამირან აფციაურმა** გააკეთა. მისი უცხოელი მეგობრებიც კი აღნიშნავენ, რომ მან თეორიულად დაადასტურა **ჰაერიდან ელექტროენერგიის მიღების შესაძლებლობა** და სრულიად ახალი ტექნოლოგიები შემოიტანა, რასაც პრაქტიკაში დანერგვა სჭირდება. აგერ გვაქვს **„ხრამი-1“** და **„ხრამი-2“,** მაგრამ ენერგიის შენახვის მისეულ თეორიებს არავინ უსმენს. მისი წიგნი უცხოეთში გამოიცა, ინტერნეტითაც იყიდება და ამერიკელებიც ეცნობიან, თუმცა, აქ მისი მოსმენა არავის უნდა. **წარმოიდგინეთ, ქართველ კაცს ეს ყველაფერი გაკეთებული აქვს, სახელმწიფოს მხრიდან კი ნულია ყურადღება!**

**— ცნობილია, რომ საქართველოს ენერგეტიკა სააკაშვილმა თავიდან ბლომდე რუსეთს მიჰყიდა, რასაც მისი სექტის წევრები უარყოფენ! რა მოხდა სინამდვილეში?**

— არჩევნების დამთავრებისთანავე სააკაშვილი სასწრაფოდ წავიდა რუსეთში და ვიდრე **პუტინს** შეხვდებოდა, შეკრიბა ენერგეტიკოსები და მთელი ქართული ენერგეტიკა გააჩუქა... **„ხრამი-1“, „ხრამი-2“** და საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმდიდრე — **ფეროშენადნობთა ქარხანა,** ასევე **ვარციხეჰესი** და **ტყიბულის ქვესადგური,** მიჰყიდა **იბორ კოლომოისკის,** რომელიც მაშინ რუსების წარმომადგენელი იყო! ამაზე დიდი ეროვნული ღალატი რა უნდა გაუკეთო შენს ქვეყანას? მოგვიანებით კი **კოლომოისკიმ** ეს ობიექტები რუსებს მიჰყიდა. დღეს საქართველოს მთელი ენერგეტიკული სისტემა რეალურად რუსების ხელშია!

თბილისის ენერგეტიკა, რომელზეც რუსებმაც კი პროტესტი გამოხატეს, ქართველ მაფიოზებს მიჰყიდეს. 104 წლის **ელენე აბაშიძე,** რომელიც ამერიკელების მიერ მსოფლიოს 100 საუკეთესო ენერგეტიკოსის სიაშია შეტანილი, ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ენერგეტიკაში დღევანდელი ხელისუფლება აკეთებდა... ეს უნიჭიერესი და უჭკვიანესი ქალბატონი ერთხელ რომ მივიდა ქართული ენერგეტიკის ბოსების შეკრებაზე და თავისი მწვავე პოზიცია გამოხატა, იმის შემდეგ იმ შეკრებებზე აღარ უშვებენ! სწორედ მაფიოზური კლანების შედეგია ის, რომ ჰესებზე მომუშავე რიგითი თანამშრომლები მათხოვრებად აქციეს, ხოლო მათ მიერ შექმნილი ელექტროენერგიის გამყიდველები — მილიონერებად!

**მართლაც, ამაზე ცუდი რა უნდა გაუკეთო შენს ქვეყანას?** ასე რომ, **საქართველოს ენერგეტიკა საქართველოს უნდა დაუბრუნდეს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## „ადრე ელექტროენერგია 2 კაპიკი ღირდა. დღეს კი ამათ მოსახლეობაც კი აღარ უღირთ 2 კაპიკი!“

**„შეხედეთ, რა ხდება! მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს თვეში 40-50 ათასი ლარი აქვს ხელფასი, მაშინ, როცა პენსიონერი ამაზე 200-ჯერ ნაკლებს იღებს. კრიპტოვალუტის წარმოებას ელექტროენერგიას 8 თეთრად აძლევენ, მოსახლეობას კი — 26-27 თეთრად!“**